# ო ქ მ ი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 12 აპრილი 2024 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.ფრიდონ შონია

5.ბადრი რიჟამაძე

6.მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

მოწვევით: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

რ. წულაია - შპს „ხობის დასუფთავება განათება"

ზ. ნარსია შპს „ხობის წყალმომარაგება"

ბიუროს წევრები: მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. გ. ქაჯაია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მედეა თათარიშვილი საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, დ. გაბუნია - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**დღის წესრიგი:** 1.ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა ქონების მართვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის წლიური ანგარიშის მისმენა.

(მომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი).

+ + +
N4

**მოისმინეს:** ა. ვარდია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, სადაც ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე და განხორციელებულ პროექტებზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების" მიერ გაწეული სამუშაოები და განხორციელებული პროექტები. მომხსენებელმა ასევე გააცნო შპს „ხობის დასუფთავება და განათება" მიერ გაწეული წლიური ანგარიშის შინაარსი. (იხილეთ დანართები).

კომისიის წევრების მხრიდან დაისვა შეკითხები, რომელის ძირითადად ეხებოდა დასუფთავების სამსახურის საქმიანობას და გარე განათების საკითხებს. რაზედაც მომხსენებელმა შესაბამისი ახსნა -განმარტებები გააკეთა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით ზემოთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შეფასების თაობაზე.

**შეფასების შედეგები:**

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი -0

დადებითი - 6.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/